

— ჩემი დედი ბათუმში მოლლა იყო. მემრე დედი დეიკავეს იქა. დეიკავეს ჩემი დედი იქა. ერთ ბერმა ჩუმად გამეიყვანა და გამუშუა. ახლა ჩუნენ იქილამ ქი არ გამეეშვა, ჩვენ ბათუმში-და ვყოფილიყავით, ბათუმში. იქედამ კი გამუშუქცევნია, გადმოსულა სოფელში, ადნი სოფელში, ადნე ადგილზე დამჯდარა ჩემი დედი. ჩვენ იქედან დარჩენილი ვართ. მე ხაჯიშვილი ვარ. მემრე ქართველი ვარ ბითთევი. სხვა რაი ვილაპარაკოთ. ვართ ხაჯიშვილები, შვიდი კვამლი ვართ.

— იმ ალაგს რას ეძახიან?

— ჰაჯიოღლი მაალე, სოფელია. ამის გაღმიდან არი ჩვენი სოფელი. ამ სოფლის გაღმიდან.

— იფხრეული?

— ჰო, ჩვენ, ჩვენ, ჩემ სახლის წინედან ძველებურ თაჭრობისა ვიღია, ალასე

— რას ეძახიან იმ ხიდს?

— იმერხევის ხიღია, ეი მაღარეებია. ორმოზდაათი თანე შიგან ოღა არი ზველებური. ჰო, შე... შევდივართ, გამოვდივართ, ამა ჯინები არიან იქა. ბრაგა არი

— ბრაგა ტყეა არის?

— არა, საზუარის ადგილები. ორობითავებია, ვაკე-ვაკეებია, მერეა, მერე, ო, დელითავია, მემრე ზემოთ ახვალ, ემეა, გოგლაზირი

— რატომ ეტყვიან?

— ისენი ტყეა, ეწირა ვაკე, მემრე ლალაზი, ლალაზი ზველად დუშუწავან და ლალაზი იმატომ დუშურქვამან. ო, აქეთკენ გამოხვალ, ემეა, სანოღლითავი, იქა ჩვენი თაჭრობა, ზველებური თაჭრობა. ჩვენ ქი ერთი ვიყავით, ერთი სოღი ყოფიღან, სოღი ამ გაღმა ყოფიღან, სოღი ქომოთ, იქედან ერთ... ერთმანეთ, რაცხა თუ იქნა, ერთმანეთ ხებერ აძღევედენ. ზემოთ ლეწილი გუაქ.

— ეს რა არის?

— ლეწილი ყიშღეებია, ჩომას იქა ვასხამთ, იქ ვაძუებთ, მემრე...

— საქონელს აძოვებთ?

— ხო, დაიღაში ეყყვანთ, დაიღა აქ, რამდენი ფთქვა, ერთი კილომეტრი ანჯახ არი ემეი, ბათუმზე ახლო, ხულაზე. ჩატეხიღი, ხულა, მემრე დამავიწყდა სახელები

— გაიხსენე

— ქეღა, ახალი ქეღა, ძველი ქეღა. მე ხულაში ჩუმათ ჩასული ვარ, ჰო, საძოვარიღან. არა მაქ. ხუთი წლის წინ გედუარე იქა მე. ერთ ბიჭმა გაღმოიღა ჩვენს ინში და არ დეიკაონ-მეთქი. მე ავჰყე, საძოვარზე გაღვარბენიე. მითხრა ქი, ად ჩვენში ჩევდეთო. წავჰყე და ბათუმში ჩასვღამდი ჩაველით, ბათუმში ჩასვღამდი ჩაველით. ერთ კვირე ვიყავ, იქა ერთ კვირე ვიყავ. მემრე შვიდ თანემა ბიჭმა წამომყვენ ქი, არ დეიკაონ ესა და ცოღვა არიო. იქედან ბალიჩ მიყარეს, ღვინოც მისხეს.

— ღვინო გიყვართ?

— კი, აპა. ამომყვენ და გაღმომარბენიეს, მეგრემ ჩემს ამას თქვეს ქი, დედ-მამამა, ჩემ დედ-მამამა, ე ბიჭი სა წევღა ჩვენი?

— ინერვიულეს.

— ო, მზებნიან, გამოგზავნეს ორი-სამი თანე ბიჭი საძებნელად, თა-საძოვარზე ამუელ, ჩვენი ბიჭებიც იქ ამოიღენ. დეიწყეს ყვირილი ქი, საღ წახველ, გზებნიან, იქით-აქეთ, დევიჩხუბებით იქაც. უთხარ ქი, საქართველოში ჩაველ, ამუელ ეგერ, გაღმევირბინე და ი ბალი, ისე ემეი ბითთევ ამართვეს ჩონ ბიჭებმა, ერ თანე ვერ შევჰამე. ამა იქ ვჰამე, ბოღათ ვჰამე იქა.

— მოგეწონათ? ყურძენი ხო გაქვთ?

— ყურზენი, ყურზენი გვაქ და ჩვენ არ ვიცოღით. ახლა დევსწავლე. ისა გაჰატო უნდა, მემრე თემეში-ნა ჩაასხა, შექერი-ნა ჩაყარო უნდა, ი წამოღუღღება და...

— წყალი ხო?

— წყალი ქი ემეს იქს, გაჭაჭო უნდა ისა ლამაზა, ჩააყენო უნდა ემეში, ისა ჩადგება ადნი ძმარისავენ, თუთას ძმარი... თუთით ვაკეთებთ ჩვენ. მემრე დეიწყეს სმა.

— გურჯებმა გასწავლეს ხომ?

— არა, აქა ბათუმიდან ერთი-ორი გოგო და ერთი ბიჭი ჩამოიდენ ჩემთან, ფასფორტით და თაფლი ჩამეიტანეს, ედ და იმათმა გიმეკეთეს მე და იმათიდან დევსწავლე.

<მთქმელი ისმაილ ჰაჯიშვილი, 42 წლის. სოფ. ქოქლიეთი, 2006 წ. 7 აგვისტო>

* * *

...ემეს ევლებთ, ამერიქას, ბეზი, იქში ბეშმეთეში შიგან ერთი მოკლეკლავიანი, იშთა ასე უშუკერავი, უშუკერავი ემეს ვიქთ, ქომოდან ისე ვაცვამთ. ზემოდამაც ჰანი აბემ მეტრო, დე, ფევებიდან ასე, ფევები ზათენ ასე მოკოჭილია. რაცხას სხვა სოფ გაგხდი... გავაბანეთ, ვილოცავთ იმის, ემეს გავაბანებთ, აქედამ...

— ვინ ბანს?

— ხოჯა. ჩვენ, ჩვენ ვერა ვიქთ, ჩვენ ვერა ვიქთ, ჩვენ რა ვიცით, რო ასწიო ჯენაზე.

— ქალი, კაცი, სულერთია, ხოჯა ბანს?

— არა, არა, ქალი, კაცი ერთი არ ალი. ქალი, კაცი, კაცი კაც გააბანეთს, ქალი ქალ გააბანეთს, იცის იმის, იკითხვენ, იშთა იკითხავ, გააბანებ იმა, იმ აბდეს აალებიებ, დანე მომკვდარია, ამა კილო აბდეს ვალებიეთ ჩვენ იმა, ჩვენ იმა აბდეს ვალებიეთ, გავაბანეთ იმა, იმა წეიყვანებენ, იშთა დადებენ ა ისე. მილეთი ზედან, ზედან ილოცებენ იმა. ხოჯამა იცის, რაცხა-და იკითხოს იქში, ჩვენ არ ვიცით ქი. ეიდა იმა ილოცებენ იშთა იმის ჯენაზეც, რაცხა ვინცხა რომ ახრაბა ჰყავს, დეიჭირებენ იმა, ჩადებენ მიწაში და ემე, იმ ჯენაზის, მიწაზე ჩადებენ, ასე აგზე იმეი მოთხრილი ყოფილა ასე, ა, პატარაი რაცხა, აგზე პირ გადებებენ ასე, აგზე თახთებ გადებებენ, ასე დადებენ, შენ აგზე წევხარ, ასე, ასე თახთები დადებენ იშთა. ასე, ა, ა, ასე აგზე ჯინაზე, ასე დადებენ იშთა, ამ მეთდიგები, ჩვენ მეთდე, მეთდიგებ ვებნევით იმა, დადებენ, მიწა ჩაყრიან იშთა, იკითხებენ, რო შედთანე არ შევიდეს შიგა. შეითანი შევიდეს, იქ ბილა არ დაგაწვენს შეითანი, იქ ბილა არ დაგაწვენს.

— რო მოკვდება ვინმე, ყველა მიდის ხომ იქ?

— ო, ყველანი მიდიან, ახლა მეც ავდგე და წარე პური-და წუთლო

— რა?

— წარე პური

— რას ნიშნავს ეგა?

— პური, პური-და წეილო იშთა, წარე პური

— წარე რაა, მწარე?

— წარე, წარე პური რო გამწარებულია, იმა ებნევიან და, წარე პური

— როგორი პური, რაგვარი?

— პური, პური ეილეფ, წეილეფ ა იქიდან, ბოჯანათიდან ეილებ, წეილეფ...

— რამდენი?

— ხუთი თანე, ათი თანე, რამდენსა გინდა.

— მერე ვის აძლევ ამ პურს?

— იმ კვდარ სახლში მიი... მიიყვან და მისცემ

— ხო და ისინი შეჭამენ

— და შეჭამენ იმა. ახლა რო პურ ვერ გააზირებენ და, რო კვდარი არი, იმაზე ვერ დაბრუნდებიან, რომ პური გააზიროს

— მარტო პური?

— იშთა სადაც გინდა წეილე: შექერი წეილე, რაცხა გინდა, ის წეილე, ძალი წეილე, ყოლამფერი წეილე, დემეგი წეილე, ძუხა გააღე, წეილე, წეილე, თუ არა

— და რამდენი დღე არი მკვდარი სახლში?

— ა, ათადირებენ, წუხელი მოკვდა, დღე-და ჩადვან. ჩვენი ისეა, თქვენი?

— როგორ, რაგვარ?

— ჩვენი ახლა წუხელი მოკვდა კაცი, ადულდე-და ჩადვან.

— რომელ საათზე?

— შუადღე უკან, შუადღე უკან-და ჩადვან. ილოცონ უნდა ემეი, შუადღე-და ილოცონ, იმა უკან-და წვილონ და ჩადვან, ჰო.

— ტირილი იციან?

— ტირილი, აპა, იციან და, ზოგი არ იციან, ზოგი არ იციან, არა, არა, ზოგი არ იტირებენ, რა-და გული არ ეწვიან, რად, არ ვიცი. მე ფენა, ფენა ვმამაღლაი ტირილი ვიცი, ჩემი ბაჯალა მომიკვდა, იმდენი ვიტირე, რომ აქავრობა ავსწიე. ა ის იმისი ბაღვია.

— კაცი რო მოკვდება, მის ოჯახში ხო არის ტირილი, რო გააგებინონ მეზობლებს, ასე არი?

— არი და იშთა ზოგი არ ტირიან, არ ტირიან, რა ვიცი, გული არ ეწვიან, რაი, არ ვიცი ქი. მე გული მეწვის და ვტირი და ისინი არ ვიცი. ზემოთ წაველ, არვინ არ ტიროდენ. თქვენიდამ ერთი თანე იყო აქ, ახრაბა ჰყავან. იმათი ახრაბა იყო, მოიდა, ი ქალმა იტირა, იქილამ მოსული ქალმა და სახლში არ იტირეს.

— არა?

— ა, მე ბილა ვიტირე, ბილა ვიტირე. იმ ქალმა ბილა იტირა, იქილამ მოსული იყო, თქვენიდამ გამოსული იყო, ამათი ახრაბა იყო იშთა, იქილამ მოსული, იმ ქალმა დათვალა, იტირა, დათვალა, იტირა და სახლში არვინ, ტირილი არ იყო ჰეჩ.

— დათვალა?

— ჰა, დათვალა და იტირა იმ თქვენიდამ მოსული ქალი, დათვალა და იტირა. აქ ჯუმე არ იყო. ჩევეხეტებით, ვიტირით, რა ვიცი, გერიაყალანენ სალოსუნ ვებნევით

— მერე იქ ცოტა ხანს რჩებით?

— ვჯდებით იგზე

— როგორ არი მოწყობილი მკვდარი?

— დაჯდებით ასე იშთა, ემეები არი, გააზირებუღია იმეები, დაჯდები იშთა, და, ემე იქნება, დაჯდები, რა ვიცი, რაცხას დააგდებენ, დადებენ, დაჯდები იშთა. დაჯდები ასე.

— ძირს არა?

— არა, ზირთ არა, რაცხეები ასე არი, დაჯდები, ასწევენ, წეიყვანებენ იშთა, მაშინ-და უთხრა იშთა, რო ბაშინ სალოსუნ, გერიაყალანარუნ სალოსუნ ვეტყვით იშთა, ჩევეხეტებით, რა ვიცი იშთა. ვინცხა გეტყვის იშთა, რომ ამუალ და ადგილზე ვინცხა მოკვდა და წევდეთ და ვნახოთ. წახვალ, ერთად მეიყრებით აგზე, სოფლიერი მეიყრებიან, წავლენ, ნახვენ, მოვლენ, თუ შორ არი და თუ შორ არ ალი, იშთა თუ ახრაბა არი, წახვალ, თუ არ ალიდა, რა ვიცი, არ წადიან, რა ვიცი, ზოგი არ წადიან. ჰო, წეიღე, ჩაი წეიღე, მუხა გააღე, წეიღე.

— მკვდარი ვის მიჰყავს მეზერში?

— მეზერში მილღეთი მიჰყავან, მიღეთი იმდენი მეიყრებიან, რომ შენ გონია ქი, ემეა, დუგუნიაო. იშთე მეიყრებიან მილღეთი, ისე მიჰყავან ი ჯენაზე. ჯენაზე წინდამ მივა, იმა აიმე უკნედამ მიდიან.

— ვის მიჰყავს მკვდარი?

— ემეი, ოჯალს.

— ხელით?

— ო, ასე, ასე დადებენ ჯე... ჯარზე. იცლიან მალ-მალე მიღეთმა. ჰო, კაცები იცლიან. კაცები, ქალებიც წაჰყვებიან, ამა ბევრი არ წაჰყვებიან ჩვენთან

— ბევრი არა?

— არა, არ წაჰყვებიან, თუ დანე ხარ, რაცხა იშთა ახრაბა ხარ, ბაჯალა, ქალი, ზალი, წაჰყვები იშთა, თუ გინდა. თუ არ გინდა და არ წაჰყვები, ისეა ჩვენი. ჰო, არ წაჰყვებიან, რა ვიცი. თუ გინდა, წაჰყვები, თუ არ გინდა და არ წაჰყვები ჯინაზე იშთა

- მერე?
- ...წინედამ იქნება ი ჯინაზე, უკნედამ ილოცებენ იმის ჯენაზე, დადებენ, ჩაფლენ, წამოვლენ მარტივი ხოჯა დადგება იგზე, იმა იშთა თეყვილ, თეყვილ არ ვიცი იშთა, რაგვარცხა აძლევს, აძლევს იშთა. მარტივი ხოჯა დადგება, ხოჯა
- ვინ ფლავს ამას, ვინ?
- კაცები
- რამდენი?
- ბევრი, მალ-მალე, მალ-მალე ემესიჯებიან, რო შეიტანე არ შევდეს. შედის, შეითანე შედის, რაგვარ-და ამან... დათხრი იშთა და ჩა... ჩადებენ იქა და აიღე
- ყველამ იცის თავისი ალაგი
- ჰო, ჰო, ყოლამ თავის ადგილზე დადებენ, ჩადებენ.
- ვთქვათ, ცოლი და ქმარი როგორ უნდა დაფლან?
- ასე, აჰა, აგზე, ცვალი, ცოლი, აგზე ქმარი, აგზე
- ხო, ანაჲ, დედაჲ?
- ანაჲ, დედაც ისე იშთა, ასე დადანა.. ჰო, ასე, შენი ემეი ყუი სხვა არის, ჩემი ყუი სხვა არი. არადა არა, ასე. და წუჲ ახლოც არ იქნება იშთა, იმდენ, ერთი ქი, შენი მე არ წემეკარები, მე შენ არ წემეკარები. თქვენ რაგვარ იჯებით?
- ხო, ესე
- შავი არ აცვიათ?
- შავი არა, არა. ჩვენ არ ვიცით, რაგვარცხა ვართ, ვართ ისე. თქვენს შავი აცვიათ თელი, ვიცი მე. ემეზე, თელევიზიონში დენახე თქვენი, თქვენი ემეი. ისე, ისე კად არ ალი ქი, რაგვარცხა ხარ, ისე ხარ. დანი შავები.
- თეთრი, წითელი. შავი არა?
- არა, არა, რაგვარცხა ხარ, ისე, ასე, ა, ახლა ასე-და წევდე მე. ი თავი სახლშიც ახლა წაი, ჰადე წიგყვანო, ასე აცვიან, სახშიც ისე არიან. მარტივი თქვენ გული გეწვიან და იმაზე შავი, შავი ემესიჯებიან. აქაც ისე არიან, ამა იშთა არ იცმენ ისე შავ არა, აქა ისე არ იციან. რაგვარცხა ვართ, ვართ ისე, რაცხა რო გვაცვია, გვაცვია... ახლა რაგვარ უთხრა, თქვენ... გამოა, იმა ემესიქთ, ვაკითხვეფთ, ყურან, ყურან ვაკითხვეფთ, მიღეთ მუჲყრით, პურ მივართვამთ, ისე იშთა, ჰო, სახში თუ ახლა მე მითხარ და მე არ წამუელ, ჩემთვინ ასე ი რაცხები რო ემექინე, იმათ ჩემთან მოაქვან, რომ არ წამოჲდა ესო და აგზე, სახში მოაქვან, რო არ წამოიდაო. ახლა მევლუდ რო იკითხვენ, ზოგი მიდიან, ზოგი არ მიდიან, ი ვინცხა რომ არ, არ წავა და იმათან მეიტანებენ, იშთა რაცხა რო მიართვეს იქა. შენთან მოაქვან, რომ არ წამოიდა ამანო, ხო, ისე ემესვიჯებით ჩვენ. მეზერში მიდიან. იკითხებენ იმაზედა, ჰო, იკითხებენ, ალლა გუნანი აფერსინო — იტყვიან, რა ვიცი, იშთა მერთმა ცოდვები მექნასო.
- მეზერი რაგვარია, მეზერი?
- მეზერი დორთქოშა არი. ა, ა, ასე იშთა მეზერი, ა, ა, ესთე ნახე მეზერი, არადა რომ დეეტევი, იმდენ ერთი თხრიან და, დორთქოშა, ასე ა, აგზე ანაჲ, აგზე ბაბაჲ, ა აგზე ემეჲა, ჩვენი ბევრი არ ალი ქი, ყოლავინ თავით ადგილზე დებენ და იმაზე, ყოლავინ თავით ადგილზე დებენ. ახლა მე ვიცი, რომ აგზე ჩემი ანაჲ, აგზე ბაბაჲ, ა, აგზე ჩემი ღარჰია, აგზე შვილია, აგზე და არი, ზმა არი, თელი ბელლია. ახლა ზმა სხვათვან არი და სხვაგან არი, ყოლამფერი ვიცით. თქვენი არევილი-ჩარევილია, ზნ და იმაზე წერავთ. მარტივი ი სამი დღე ცეცხს, იმეის აანთებენ, ელეთირიქ, სამ დღე, ხო, ასე ემეს, ეს ელეთირიქ ემეჲა, ყარაყაბლო წეიღებენ, იგზე აანთებენ იშთა, სამი დღე გათავდება, დაპარებენ იმა, სამ დღე ანთებენ.
- თქვენს სოფელში არი მეზერი?
- არი და ჩვენი ახლა ჩვენი ჩვენ ადგილზეა, იმათი თავით ადგილზეა, ყოლანი თავით ადგილზე აქვან მეზრები
- სად არი აქა? ქოქლიეთში რამდენი მეზერია?
- ქოქლიეთში რა ვიცი მე, არ დიმითვლია ქი
- ერთ ალაგას ხო არის?

— ერთი ალაგა არიან, სხვა ალაგ არიან, ყოლანი თავით ადგილზე დებენ იშთა. ახლა ჩემი ადგილზე მე ჩემი კვდარი ჩემ ადგილზეა, იმისი კვდარი იმის ადგილზეა, ყოლანი თავით ადგილებზეა. აგზე ევესება, აგზე ადგილი არ ალი, რო ჩადვა, მემრე ადგილი გუუცვლიან, რაცხა ემეს იქმენ, ადგილ მე... მეზერის ადგილ გააზირებენ, რომ ჩავდვათ.

— რაგვარი ადგილი უნდა, რაგვარი ალაგი?

— რაგორცხ უნდა, იყვეს, ჰანი გვერდი იქნება, გათხრი, ემეს იქს, გასწორდება ყოშ, ო, გვერდი იქნება, გათხრი, გასწორდება. რომ ადგილი გაქ, გვერდი არ უნდა, ლამაზად იმესიქ, იშთა, დადებ წორეთ ადგილზე და თუ არა გაქ, გვერდშიც იქნება, არაფერ არაა იქ. ამა ერთმანეთში არ მიაკრებენ ისინი, ემე არიან იშთა სხვადასხვა. ერთ ადგილზე არ ჩადებენ. ახლა ორი ინსანი ერთ მეზერში არ ჩადებენ, არა, ა, არა იქს ისე, ისე არ ვიჯებით ჩვენში. თქვენ, თქვენისაც ისე იჯებით? არა, არ შეიზლება, არ შეიზლება. შენი სხვა არი, ჩემი სხვა არი. შენ სხვა ადგილ-ნა დაწვე, მე სხვა ადგილ-და დავწვე. ბელქი შენ კაი არა ხარ, შენ ეზე, იზი... იზიათი-ნა მოგცენ, მე კაი ვარ და მე შენი ემეი ვარ, გავექცევი, ა. იმასაც იმდენი ფიქრი უნდა, ბელქი შენი ემეი კაა არ ალი, ჩემი კააა. შენ ეზიათ გაზლევენ იქა მელიქები, მე კაა ვარ, რაათ-და დავწვე. არა, ისე არ შეიზლება, არ შეიზლება. ი კაა არ ალი. ერთი, ერთი კაცი უთქვამს, რომ ერთი თეიბი-და დატუდვო, თეიბიო, რო აქ რომ საცხას რო ამა ებნევიანო, მე აქში რომ ეილეფსო, ის-ნა გეგონო. იქ დუუდვამან და ი თეიბი ფარაფურჩუგი გამხდარა

— რა გამხდარა?

— გატეხილა მეზერში. ქიმილა რა... რაგვარ ინსანი იყო, რაგვარ კაა იყო, რააა, რა ვიცი, მერთმა გატეხა იი, მერთმა, თუარა ინსანი ვერ შევა ქი იქა. მერთმა გატეხა იი.

< მთქმელი ალთუნ ჩელიგი, 65 წლის. დაბადებული შავშეთში, გამოთხოვილია სოფ. ქოქლიეთში, ჩაწერილია 2006 წ. 7 აგვისტოს >

* * *

გაგახაროს, შვილო, ღმერთმა მოგცეს ბევრი დღეი, ჯანი სალი, თელგან ყური უგდეთ, ვარიოლა საქმეს ნუ იქთ, ვარიოლა ინსან ნუ ჩეებით ფენში, ვარიოლა ბორჯში ნუ შეხვალთ და ამა დაგლოცავთ

— ჩვენ დაგვლოცე

— ხო, ალაჰ... ღმერთმა გაგახარონ, ღმერთმა მშვიდობით გიდიგიყვანონ, ჯანი სალი მოგცენ ღმერთმა. მაგრაი გერმელი მილლეთი ხართ, გეგონე ახლა. შვილები მოქცენ, კაცები მოქცენ, ა, გეგონე.

* * *

მეხი დეგეცეს თავზე, მერთმა არ მოგიყვანოს, მერთმა ასე, ქოთი, ქოთი ინსა... ქოთი მილეთი-ნა ღმერთი გამოიდელო — ამა ვიტყვით, არაფერი, ო, ამა ვიტყვით.

— არის ხო ცუდი ხალხი აქ, ცუდი მილეთი არი?

— დავბერდი, გერმელი ინსან... ერთი ლაჩრობა არ მომაგონდება, დავბერდი ქალი. არც გონჯობა მაქ, არც გონჯობა აქვან ჩემიდამ, გეგონე? ასეა. ვარიოლა, ახლა, დუშმანი ჩამოდგომა, ო, ო, ადეთ დოხ, ის ადეთი არ ალი ჩვენში. ბეთული ჩვენში ადეთი არ ალი, გეგონე. აქა დანი ძალიან კარგობა არი, აქა ძალიან კარგობა არი. ახლა რო მეიწადინოთ აქა სახლი გაკეთება, ვერ გააკეთებ? ადგილი ქი ეილონ, არ წამოხვალთ იშთა რაზე? წამოით.

— შორია, შორი.

— შორია, აქ გაუხლოვდებით იშთა მეზობლობაში, ლამაზად, გერმელად მეზობლობას ვიქთ, აპა, გეგონე?

< მთქმელი ხატიჯე დემირი, 70 წლის. სოფ. ქოქლიეთი, 2007 წლის 7 აგვისტო >